ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, დიდი დიღომი „ჩილიპირები“, სოფ. დიღომი (ს/კ 01.72.14.096.035) დაპროექტებული ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

დამკვეთი: გიორგი ცერცვაძე. /შპს “ჯეი ენდ თი ქონსალთინგი”/

პროექტის ავტორი: სალომე ხოფერია

ექსპერტი: მიხეილ ბუჯიაშვილი

თ ბ ი ლ ი ს ი

2 0 1 8

ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, დიდი დიღომი „ჩილიპირები“, სოფ. დიღომი (ს/კ 01.72.14.096.035) დაპროექტებული ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

საექსპერტო დასკვნა საქართველოს მთავრობის 2009 წლის №57 დადგენილების 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

1) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;
2) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;
3) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;
4) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;
5) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;
6) მისაწვდომობის შეფასებას;
7) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;
8) სახურავის ანაწყობების შეფასებას;
9) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებას;
10) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;
11) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;

საექსპერტო დასკვნის შესადგენად ექსპერტიზისათვის გადმოცემულია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი, რომელიც მოიცავს შემდეგ მასალებს:

1. ინფორმაციას მშენებლობის ნებართვის ობიექტის თაობაზე (აღნიშნული მოიცავს: თავფურცელს; ფურცლების ჩამონათვალს; პირობით აღნიშვნებს; დაგეგმარების მიზნის აღწერას; შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზს)

2. შენობა-ნეგებობის ტექნიკურ მაჩვენებლებს
3. სიტუაციურ სქემას
4. არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალას
5. მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული გეგმას –1:500 მ
6. მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიულ გეგმაზე დატანილი მიწის ნაკვეთის გეგმას (გენგეგმა)
7. შენობა-ნაგებობების განთავსებასა და სიმაღლეებს
8. გეგმებს, ჭრილებს, ფასადებს
9. დეტალების ფრაგმენტულ ნახაზებს
10. დაკავებულობისა და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის გეგმებს (აღნიშნული მოიცავს: დაკავებულობის დატვირთვებს; გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობებს; გასასვლელებს; გასასვლელთან მისადგომებს; გასავლელებსა და შენობიდან გამოსასვლელებს; გასასვლელამდე სავალ მაქსიმალურ მანძილებს; ცეცხლმედეგობის ხარისხიან მოთხოვნილ გამმიჯნავებს).
11. შენობის ვიზუალიზაციას

შენიშვნა: მოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

გადმოცემული მასალა აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2009 წლის №57 დადგენილების 47 მუხლის მიხედვით არქიტექტურული პროექტის შემადგენლობას და სრულად იძლევა საშუალებას ზემოაღნიშნული ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობას.

გ ა მ ო კ ვ ლ ე ვ ა:

1. **დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება:**

- საპროექტო ობიექტი დაკავებულობის კლასიფიცირების მესამე თავის მიხედვით მოიცავს მხოლოდ ერთ დაკავებულობის ჯგუფს:

საცხოვრებელი ჯგუფი სც-3

(შენობები, რომლებიც არ შეიცავს ორზე მეტ საცხოვრებელ ერთეულს) აღნიშნული შეესაბამება 310.5 ქვეთავს.

დაკავებულობის ჯგუფის კლასიფიცირება განხორციელებულია №41 დადგენილების - თავი 3, ქვეთავი 310-ის მიხედვით.

- ოთახებისა და სივრცეების დაკავებულობის დატვირთვა გამოანგარიშებულია 1004.1.2 ცხრილის მიხედვით. დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი საცხოვრებელი სივრცისთვის შეადგენს 18.6 (მთლიანი).

გამოანგარიშება:

სც-3 დაკავებულობისთვის სარდაფის სართულზე - იატაკის ფართობი 73.33კვ.მ/18.6=4

სც-3 დაკავებულობისთვის პირველ სართულზე - იატაკის ფართობი 465.73კვ.მ/18.6=25

სც-3 დაკავებულობისთვის მეორე სართულზე - იატაკის ფართობი 390.03 კვ.მ/18.6=21

სც-3 დაკავებულობისთვის მესამე სართულზე - იატაკის ფართობი 163.94 კვ.მ/18.6=9

იატაკის ფართობში „წესების“ განმარტების (ქვეთავი 202) მიხედვით დათვლილია გარე კედლების შიგა პერიმეტრის საზღვრებში მოქცეული თითოეული სართულის მთლიანი (შახტების გარეშე) გარე კედლებს შორის მოქცეული ფართობი, სამი მხრიდან გარე კედლებით შემოზღუდული შესასვლელების წინამდებარე სახურავის თარაზული ნაშვერის საზღვრებში მოქცეული ფართობი და გადახურული აივნები.

დაკავებულობების დატვირთვების გამოანგარიშება განხორციელებულია №41 დადგენილების - თავი 2 და თავი 10, ქვეთავები 202 და 1004 და ცხრილი 1004.1.2-ის მიხედვით.

დაკავებულობის ჯგუფების შერჩევა და ასევე მათი დატვირთვების გამოანგარიშება განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.

2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება:

- შენობის კონსტრუქციული ტიპი განსაზღვრულია **II B** ტიპი, რომელიც შერჩეულ იქნა შენობის დაკავებულობის, სართულიანობის, სიმაღლისა და ფართობის მიხედვით და სრულიად აკმაყოფილებს 503 ცხრილის მოთხოვნებს. (ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემენტებისათვის კონსტრუქციული ტიპების მიხედვით იხ. 601 ცხრილში)

კონსტრუქციული ტიპი დადგენილია №41 დადგენილების - თავი 6, ქვეთავი 601, და თავი 5, ქვეთავი 503 და ცხრილი 503-ის მიხედვით.

კონსტრუქციული ტიპის შერჩევა განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

503 ცხრილის მიხედვით, საპროექტო შენობაში არსებული დაკავებულობების და კოსნტრუქციული **II B** ტიპის მიხედვით დადგენილია შენობის დასაშვები სართულიანობა, სიმაღლე და ფართობი, კერძოდ:

საპროექტო შენობის სიმაღლე არის მიწის დონის ზემოთ 12.62 მ. სართულიანობა - მიწის ზემოთ 3 სართული, მიწის ქვემოთ 1 სართული. რაც შეეხება თითოეულ სართულზე დაკავებულობების ფართობის ჯამურ მაჩვენებელს, გასასვლელი საშუალებების ფართობებთან ერთად არ ცდება 503 ცხრილში სართულების ფართობთან დაკავშირებულ ზღვარს.

შენობის ფართობში „წესების“ განმარტების (ქვეთავი 202) მიხედვით დათვლილია გარე კედლებს შორის მოქცეული თითოეული სართულის ფართობი, გარდა საჰაერო შახტების და სამი მხრიდან გარე კედლებით შემოზღუდული ეზოებისა, ასევე ფართობი, რომელიც შესასვლელების წინამდებარე, სახურავის თარაზული ნაშვერის საზღვრებშია მოქცეული.

შენობის სიმაღლე „წესების“ განმარტების (ქვეთავი 202) მიხედვით არის შვეული დაშორება მიწის დონიდან სახურავის ყველაზე მაღალი ზედაპირის საშუალო სიმაღლემდე.

გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 2 და თავი 5, ქვეთავი 202 და 503; ცხრილი 503.

წარმოდგენილი ობიექტის სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციულ ტიპთან და აკმაყოფილებს „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს.

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება:

საცხოვრებელ (სც-3) სართულებს 1021.2 ქვეთავის №2 გამონაკლისის თანახმად დასაშვებია, რომ ემსახურებოდეს ერთი გასასვლელი;

გასასვლელები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

საპროექტო შენობის პირველ სართულზე განსაზღვრულია 2 გასასვლელი, გზა-კარის სახით. ორივე გასასვლელით ვხვდებით შენობის გარეთ, საიდანაც საპროექტო მიწის ნაკვეთის გავლით ვუკავშირდებით საზოგადოებრივ სივრცეს.

მეორე, მესამე და სარდაფის სართულებზე გათვალისწინებულია 1 გასასვლელი შიგა გზა-კიბის სახით.

- გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილის ზომები დაანგარიშებულია სწორად, გასასვლელისგან ყველაზე დაშორებული ფართობის გათვალისიწნებით და აკმაყოფილებს „წესების“ 1016.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

- როგორც ავღნიშნეთ, შენობიდან გამოსვლა საზოგადოებრივ სივრცეში ხდება დაუბრკოლებლად საპროექტო მიწის ნაკვეთის გავლით.

გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 10, ქვეთავები 1016 და 1021; ცხრილი 1016.2

გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების ნორმები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება:

- საცხოვრებელი ერთეულში მოწყობილია გზა-კიბე, რომელიც გასასვლელი საშუალების ნაწილია და აკავშირებს ყველა სართულს ერთმანეთთან. გზა-კიბის სუფთა სავალი სიგანე კედელსა და მოაჯირს შორის არის 1.20 მ, ხოლო სარდაფიდან ამოსასვლელი გზა-კიბის სიგანე 1.0 მ, რაც აკმაყოფილებს 1005.3.1 და 1009.4 ქვეთავების მოთხოვნებს. კიბეებზე სავალი ზედაპირის ღია მხარეს მოწყობილია მოაჯირები, რომლებიც აკმაყოფილებს 1013.3 ქვეთავის გამონაკლისის მოთხოვნებს, ვინაიდან გზა-კიბის ერთი მხარე კედელს მიუყვება აქ 1009.15 ქვეთავის №2 გამონაკლისის მიხედვით სახელურის მოწყობის აუცილებლობა არ არის. სწორად არის განსაზღვრული საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე, რაც აკმაყოფილებს 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს. გზა-კიბეების ბაქნების ზომები შეესაბამება 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს.

- პირველ სართულზე „1-4“ და „4-1“ ფასადებზე გარე გასასვლელ საშუალებად გამოყენებულია გზა-კარი, რომელიც გადის პირდაპირ ეზოში რომელიც უკავშირდება საზოგადოებრივ სივრცეს.

- გარეთ გასასვლელი ორფრთიანი გზა-კარის სიგანე შეადგენს 1.82 მ-ს. არნიშნული კარი მოწყობილია შუალის/გამყოფის გარეშე და ერთი ფრთა 90 გრადუსით გაღებულ მდგომარეობაში უზრუნველყოფს ღიობის 0.82მ-ზე მეტ თავისუფალ სიგანეს, რაც აკმაყოფილებს 1008 ქვეთავის მოთხოვნებს.

- რაც შეეხება დანარჩენ კარის ღიობებს, რომლებიც აუცილებელი გასასვლელი საშუალების ნაწილი არ არის, 1008.1.1 ქვეთავის №1 გამონაკლისის თანახმად სც-3 ჯგუფის დაკავებულობებში ასეთ კარის ღიობებს არ მოეთხოვება 1008.1.1 ქვეთავში განსაზღვრული მინიმალური და მაქსიმალური სიგანეების გათვალისწინება. შესაბამისად ყველა კარის ზომა და რაოდენობა, პროექტში დეტალურად არის წარმოდგენილი და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 10, ქვეთავები 1005, 1008, 1009, 1012, 1013 და 1018.

გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

6. მისაწვდომობის შეფასება:

- პროექტით არ არის გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის მისაწვდომი საშუალებების დაგეგმარება და მშენებლობა. 1103.2.4 ქვეთავის მიხედვით - ერთი ან ორი ოჯახის ცალკე მდგომი საცხოვრებლები და მათი დამხმარე ნაგებობები, ასევე მათთან დაკავშირებული ადგილები და საშუალებები, არ საჭიროებს მისაწვდომობას.

გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 11, ქვეთავი 1103

<u>მისაწვდომობის აუცილებლობა განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.</u>

7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:

შენობის ოთხივე ფასადების მხარეს, გარდა „1-2“ მონაკვეთისა, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი (მანძილი შენობის ფასადიდან მიწის ნაკვეთის უახლოეს წერტილამდე ამ ქუჩის/ჩიხის/საზოგადოებრივი გზის შუახაზამდე) 3.0 მეტრზე მეტია. შენობის კონსტრუქციის ტიპის (II-B) და ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის გათვალისწინებით, 602 ცხრილის თანახმად, გარე კედლებს არ მოეთხოვება ხანძარმედეგობა. 705.8.1 ქვეთავის N2 გამონაკლისის თანახმად, (3.0 მ-ზე მეტი) ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების გათვალისწინებით, გარე კედლებში მოსაწყობი დაუცველი ღიობების ფართობი შეუზღუდავია.

- შენობის „1-2“ მონაკვეთში, გარკვეულ ნაწილზე ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი 1.5მ-ზე ნაკლებია, შესაბამისად ცეცხლმედეგობის ხარისხი, 602 ცხრილის მიხედვით არის 1 საათი, რაც პროექტში გათვალისწინებულია. 705.8 ცხრილის მიხედვით ფასადის ამ ნაწილში ღიობების მოწყობა დაუშვებელია და შესაბამისად არც წარმოდგენილი პროექტით არის გათვალისწინებული.

- საპროექტო შენობას არ მოეთხოვება პარაპეტი ვინაიდან დაკმაყოფილებულია 705.11 ქვეთავის N 1 გამონაკლისის მოთხოვნა. პარაპეტი მოწყობილია მხოლოდ „1-2“ მონაკვეთში, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან გამომდინარე.
- პროექტს თან ახლავს საფასადე კედლის ფრაგმენტული ნახაზი. ზემოაღნიშნული ნახაზიდან ირკვევა, რომ კედლის მასალად გამოყენებულია აგურის წყობა. წესების 1403.2-ე პუნქტის გამონაკლისის მიხედვით, ატმოსფერული ზემოქმედებისგან დაცვის მიზნით მოწყობილი დამცავი საფარი აკმაყოფილებს 1403 ქვეთავის მოთხოვნებს.
- წარმოდგენილ ნახაზზე ასევე ასახულია გარე ფანჯრის და კედლის ანაწყობების გადაკვეთასთან გათვალისწინებული ჰიდროიზოლაცია, რომელიც მოწყობილია კედლის სტრუქტურაში ტენის შეღწევის საწინააღმდეგოდ. აღნიშნული აკმაყოფილებს 1405.4-ე პუნქტის მოთხოვნას, თუმცა მსგავსი გადაწყვეტა გამოყენებული უნდა იყოს ქვემოთმოყვანილ (იხ. შენიშვნა) ყველა ადგილას.
- **შენიშვნა:** გარე კარისა და ფანჯრის ანაწყობების, გაყვანილობების და გარე კედლის ანაწყობების (მათ შორის პარაპეტის) დასრულების ადგილების პერიმეტრებთან, გარე კედლისა და სახურავის გადაკვეთასთან, საკვამურებთან, პორტიკებთან (კართანებთან), ტერასებთან (ბანებთან), აივნებთან და მსგავს ნაშვერებთან შეერთების ადგილებში, ასევე, ჩაშენებულ წყალსადინარ ღარებში და მსგავს ადგილებში, საიდანაც წყალმა შეიძლება კედელში შეაღწიოს. ჰიდროიზოლაცია უნდა მოეწყოს გამოშვერილი კიდეების ორივე მხარეზე და ბოლოებთან კედლისზედა ბურულების, წოლანების ქვეშ და უწყვეტი გამოშვერილი გაფორმების თავზე.

გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 6, ქვეთავი 602, ცხრილი 602. თავი 7, ქვეთავი 705, ცხრილი 705.8. თავი 10, ქვეთავი 1009.

- გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი, ასევე გარე კედლებში მოსაწყობი ღიობების ფართობი შესაბამისობაშია 601, 602 და 705.8 ცხრილებთან და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

8. სახურავის ანაწყობების შეფასება:

- საპროექტო შენობის სახურავი არის ქანობიანი, რომლის ნაშვერების ზომა ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების გათვალისწინებით აკმაყოფილებს 705.2 ცხრილის მოთხოვნებს. სახურავის როგორც კონსტრუქციას ასევე მის არაძირითად ნაწილებს ცეცხლმედეგობის ხარისხი არ გააჩნია, რაც შენობის კონსტრუქციის ტიპის (II-B) გათვალისწინებით დასაშვებია და აკმაყოფილებს 601 ცხრილის მოთხოვნებს.

- სახურავის ბურული ხანძრის კლასიფიკაცია კონსტრუქციული ანაწყობების მიხედვით ეკუთვნის C კლასს, თანახმად ცხრილი 1505.1ა (C კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც ტესტირების დროს უძლებს სუსტი ცეცხლის ზემოქმედებას).

- **შენიშვნა:**
- ჰიდროიზოლაცია უნდა მოთავსდეს კედლისა და სახურავის გადაკვეთის ადგილებში, წყალსადინარ არხებთან, სახურავის ქანობის ან მიმართულების შეცვლის ადგილებში/ ლითონის ჰიდროიზოლაცია უნდა იყოს კოროზიამედეგი და, არანაკლებ, 0,5 მმ სისქისა.
- შენობების გარეთ მოთავსებული წყალარინი ღარები და მილები არაწვადი მასალით ან, სულ მცირე, 40 ზომის პლასტმასის მილებით უნდა აიგოს.

გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 6, ქვეთავი 601, ცხრილი 601;

სახურავის ანაწყობები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნები.

9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება:

- 420.3 ქვეთავის თანახმად საცხოვრებელი და საძინებელი ერთეულები ერთმანეთისგან თარაზულად არის გამიჯნული 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე იატაკის ანაწყობებით, რაც აკმაყოფილებს როგორც კონსტრუქციის ტიპიდან (II B ტიპი) გამომდინარე 601 ცხრილის მოთხოვნებს, ასევე 711.3 ქვეთავის მოთხოვნებსაც.

- ვინაიდან კიბის უჯრედები მდებარეობს ცალკეული საცხოვრებელი ერთეულის საზღვრებში სც-3 ჯგუფის დაკავებულობაში, 1009.3 ქვეთავის №2 გამონაკლისის თანახმად გზა-კიბეები არ საჭიროებს შემოზღუდვას.

- ვინაიდან სანიავებელი და საკომუნიკაციო შახტით დაკავშირებული სართულების რაოდენობა არის სამი, შენობაში არსებული შახტის შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 1 საათიანი, რაც შეესაბამება 713.4. ქვეთავის მოთხოვნებს.

- 1018.1 ქვეთავის №2 გამონაკლისის თანახმად: ცეცხლმედეგობის ხარისხი არ მოეთხოვება დერეფნებს, რომლებიც მდებარეობს სც ჯგუფის დაკავებულობის საცხოვრებელ ან საძინებელ ერთეულში.

გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 4, ქვეთავი 420. თავი 7, ქვეთავი 711, 713 და 717; თავი 10, ქვეთავი 1009 და 1018.

<u>ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავები განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.</u>

10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება:

- „წესების“ მე-9 თავის მიხედვით სც-3 ჯგუფის დაკავებულობისთვის საპროექტო შენობაში ხანძრისაგან დაცვის სისტემების მოწყობის აუცილებლობა არ არის. გამონაკლისს წარმოადგენს კვამლზე მორეაგირე მაუწყებელი, რომელიც

განთავსებულია საცხოვრებელი ერთეულის ყველა სართულზე 907.2 11 2 ქვეთავის შესაბამისად.

გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 9. ქვეთავები 907 და 912

ხანძრისგან დაცვის სისტემების მოწყობის აუცილებლობა განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.

11. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

წყალსადენის სისტემის აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობები გათვალისწინებულია შენობის სამივე სართულზე, მათი რაოდენობა მეტია 1602.1 ცხრილში მოთხოვნილი რაოდენობისა.

გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 16, ქვეთავი 1602, ცხრილი 1602.1

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობები განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით

დ ა ს კ ვ ნ ა:

ზემოაღნიშნული შეფასებებიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ქ. თბილისში, დიდი დიღომი „ჩილიპირები“, სოფ. დიღომი (ს/კ 01.72.14.096.035) დაპროექტებული ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი შესაბამისობაშია „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან. საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად.

გაფრთხილება:

კონსტრუქციული და საინჟინრო პროექტები უნდა დამუშავდეს „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნების დაცვით!

ექსპერტი:  მიხეილ ბუჯიაშვილი

გამოყენებული (კანონმდებლობა, რეგლამენტები, წესები, სტანდარტები.....)

1. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება.
2. „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება.

სერტიფიკატი

№ 2017-221

გადაეცემა

მიხეილ ბუჯიაშვილს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

ვაჟა კუხიანიძე, კურსის ხელმძღვანელი

სარეგისტრაციო № 4447

საქართველო

დიპლომი უა № 003323

მიეცა მიხეილ დიმიტრის ძე
ბუჭიაშვილს
მასზე, რომ ის 1990 წელს შევიდა საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტში

და 1996 წელს დაამთავრა აღნიშნული
უნივერსიტეტის
სრული კურსი
არქიტექტურის
სპეციალობით.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1996 წლის
„15" ივლისის გადაწყვეტილებით
მ. დ. ბუჭიაშვილს მიენიჭა არქიტექტორის
კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო
კომისიის თავმჯდომარე

ბ. ა. რექტორი

მდივანი

ქალაქი თბილისი „23" 09 1996 წ.

МПФ Гознака. 1996.

მიხეილ ბუჯიაშვილი

პროფესია: არქიტექტორი.

დაბადების თარიღი: 1973 წელი, 27ოქტომბერი

საკონტაქტო ინფორმაცია: 899 17-42-13; ელ-ფოსტა: mishabujiashvili@gmail.com

---

განათლება:

ქ. თბილისის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი 1990-1996 წ.
არქიტექტურის ფაკულტეტი

სამუშაო სტაჟი:

1. არქიტეტურის დეპარტამენტი (წამყვანი სპეციალისტი) 1997-1999 წ.

2. ქ.თბილისის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების სამსახური (წამყვანი სპეციალისტი) 2001-2002 წ.

3. ქ.თბილისის მერიის გენერალური გეგმისა და პერსპექტიული განვითარების საქალაქო სამსახური (მთავარი სპეციალისტი) 2002-2004 წ.

4. ქ.თბილისის მერიის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის საქალაქო სამსახური (მთავარი სპეციალისტი) 2004-2005 წ.

3. შ.პ.ს „აკო“ (არქიტექტორი) 2005-2007 წ.

2. შ.პ.ს „დილემა“ (არქიტექტორი) 2007-2010 წ.

3. შ.პ.ს. „ბაზისი–XXI“ (არქიტექტორი) 2011-2012 წ.

4. შ.პ.ს „პარალელი“ (არქიტექტორი) 2012-2013 წ.

5. სსიპ თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახური (III და IV კლასის შენობა-ნაგებობათა სანებართვო განყოფილების უფროსი) 2013-2017 წ.

6. შ.პ.ს. „ქალაქპროექტი“ (არქიტექტორი) 2017 -

სემინარები და კურსები:

- ურბანული დაგეგმარების კურსები; კაირო, ეგვიპტე, 2005 წ.
- ურბანული დაგეგმარებისა და მენეჯმენტის კურსები; კუალა-ლუმპური, მალაიზია 2006 წ.
- RIBA-ს წარმომადგენლის, ალან ჯონსის მიერ ორგანიზებული კურსები; თბილისი, 2010 წ.

კონკურსები:
- „მცირე ქალაქის განვითარება“ ქალაქგეგმარებითი კონკურსი სერჟი პონტუაზი; საფრანგეთი, 1997 წ (სპეციალური პრემია);

- შ.პ.ს. „არტე“-სა და ქ. თბილისის მერიის მიერ გამოცხადებული კონკურსი თემაზე „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი“ 1997 წ. (მეორე პრემია);
- ქ. თბილისის ურბანული განვითარების კონცეფციის კონკურსში გამარჯვებული პროექტის მონაწილე (2002 წ.);
- ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების სამსახურის მიერ გამოცხადებული კონკურსი: ქ. თბილისში, გმირთა მოედნიდან თამარაშვილის ქუჩამდე მდ. ვერეს ხეობის ტერიტორიული მოწესრიგებისა და რეკრეაციული ზონის მოწყობის საკონკურსო პროექტის კონცეფციის კონკურსში გამარჯვებული პროექტის ავტორი, 2006 წ.

სამუშაო გამოცდილება:

1. ქეთევან წამებულის გამზირზე, სასტუმრო მეტეხის მოპირდაპირედ კვარტალის რეკონსტუქციის პროექტი;

2. „ძველი ქალაქი დღეს და ხვალ“. პროექტი დაფინანსებულია ფონდი: „ღია საზოგადოება-საქართველო“-ს მიერ;

3. მელიქიშვილის გამზირის მიმდებარე კვარტალის რეკონსტრუქციის პროექტი;

4. ქ. თბილისის ცენტრალური ნაწილის უფლებრივი ზონირების დამოუკიდებელი სავალდებულო რუკა, ვერა-ვაკის უბნების ჩათვლით. ქ.თბილისის და ქ. ზაარბრიუკენის მერიების ერთობლივი პროექტის „მიწის მენეჯმენტი“-ს ფარგლებში, მიმდინარე, G.T.Z. –ის დაფინანსებით.

დაპროექტებული და მშენებარე ობიექტები:
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ქეთვან წამებულის გამზირზე, ნიკოლაძის ქუჩაზე, შატბერაშვილის ქუცაზე, ინგოროყვას ქუჩაზე, საოფისე შენობები ყაზბეგის 34, გოთუას ქუჩაზე, ელიავას ქუჩაზე, ქურხულის ქუჩაზე. მრავალფუნქციური შენობა თ. ერისთავის ქუჩაზე. სასტუმრო ქობულეთში, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო გორში და სხვ.

უცხო ენების ცოდნა: ინგლისური, რუსული.

კომპიუტერული პროგრამები: AutoCad, ArchiCad, ArcGis, 3dMAX, Photoshop, Corel, MS Word.